პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ოქტომბერი

1975 ოთხშაბათი 19 თებერვალი № 42 (16168) ფასი 2 კაპ. 1975

ვალდებულებანი -კონკრეტულ საქმეებ!

ბანსაკუთრებით მდიდარია ჩვენი სარედაქციო ფოსტა ამ დღეებში. ადგილებიდან — რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან დაუსრულებელ ნაკადად მოდის კორესპონდენციები, წერილები და დეპეშები ამ დიდ, შემოქმედებითს მუშაობაზე, რაც ახლა შრომითს კოლექტივებში ხუფევებ. პატრიოტული შემართება და მგზნებარება ახასიათებს ამ დღეების რიგმს, რაც განპირობებულ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებებმა, ადამიანთა ხალხისადმი მიმართვის ამაღლებულმა სტრიქონებმა, ქალაქად და სოფლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ნაბეჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღრმაშინაარსიანმა დადგენილებებმა.

ხუთწლედ — ვადამდე! — ასეთია მილიონთა პასუხი ლენინური პარტიის მოწოდებაზე.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ამ დღეებში ისინი კიდევ უფრო გაახარა და ალაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომ 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მოპოვებისათვის შვიდ მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებულია ჩვენი რესპუბლიკაც.

საკავშირო გარდამავალი წითელი დროშები დაისაკუთრეს ეგრეთვე აჭარის ავტონომიურმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ქალაქმა ქუთაისმა, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონმა, აბაშის, გურჯაანისა და მახარაძის რაიონებმა, მთელმა რიგმა სამმართველოებმა, ტრესტებმა, ფაბრიკებმა და ქარხნებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეებმა...

ეს წარმატება რომ გვაჩარებს და კანონიერი სიამაყის გრძნობას გვინერგავს, ამასთან განგვიმტკიცებს რწმენას იმისათვის, რომ რესპუბლიკის მშრომელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შესწევთ უნარი გადაწყვიტონ თანამედროვეობის უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანები.

სწორედ ამ პატრიოტული შეგნების, სურვილისა და სწრაფვის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა ის გაბედული ნაკადები, რომლებიც განხილული და მიღებული რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კოლექტივების კრებებზე და რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინათ პრესაში გამოქვეყნდა.

საქართველოს მშრომელთა წლევანდელი ვალდებულებანი ითვალისწინებენ, რომ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით განსაზღვრული სამრეწველო წარმოების მატებამ მთლიანად რესპუბლიკაში 5 წლის მანძილზე 39 პროცენტი შეადგინოს, პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმა ვადამდე, 23 დეკემბრისათვის შესრულდეს და დავალების გადამეტებით გამოვუშვათ 170 მილიონი მანეთის ნაწარმი.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა რვა პროცენტით ვაიზრდება. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდება დიდი რაოდენობით ჩაის ფოთოლი, ციტრუსები, ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები...

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება ნავარაუდევია 25 დეკემბრისათვის. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციებმა, საყოფაცხოვრებო საწარმოთა მშრომელებმა.

ასე, რომ კარგი და კონკრეტული სიტყვა ითქვა, მიღებულია ძნელი, მაგრამ რეალური საფუძველზე დამყარებული ვალდებულებები. ახლა ჯერი თვითეული ჩვენგანის მონდომებისა და საქმისადმი გონიერულ მიდგომაზე, ჩვენს მუყაითობაზე და გამჯეობაზე, იმის უნარზეა, თუ როგორ დავიცავთ სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

სიტყვა უსაქმოდ მკვდარია, ამბობს ხალხი. ამიტომაც ნაკისრი ვალდებულებანი — საქართველოს მშრომელთა ეს კოლექტიური სიტყვა — ნამდვილ რეალობად რომ იქცეს, ფრთა რომ შეიხსნას, კეთილი ნაყოფით რომ დაიხუნძლოს, თვითეულმა შრომითმა კოლექტივმა, თვითეულმა ადამიანმა საკუთარ სიტყვად უნდა მიიღოს და მისი ყოველი მუხლის განხორციელებას „თავისი გულის, თავისი სულის ნაწილი ჩააქსოვოს“.

როცა განვლილსა და გაკეთებულზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, წარმატებები უნდა აღვნიშნოთ. მაგრამ, სასიხარულო ცვლილებების შეგრძნებასთან ერთად რესპუბლიკის კომუნისტებმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით შეიძინეს გაწეული მუშაობის ყოველმხრივი შეფასების. მისი კრიტიკული ანალიზის უნარი.

გასული წლის შედეგებს თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, თვალსაჩინო მიღწევების მიღმა დავინახავთ იმასაც, რომ რესპუბლიკის საწარმოთა ერთმა ნაწილმა ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და დაგროვების დადგენილი დავალება. მთლიანად ვერ შესრულდა ლითონსაჭრელი ჩარხების, შალის ქსოვილების, ტყავ-ფეხსაცმლის, ჯვეჯისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმები, არასახარბიელოა ბევრი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

კვლავ სერიოზული ზრუნვაა საჭირო შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. მეტად დამაფიქრებელია, რომ მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში სამუშაო საათების გაცდენების გამო სახალხო მეურნეობამ დაკარგა რამდენიმე მილიონი კაცსაათი. განსაკუთრებით დაბალია შრომის დისციპლინა სოფლად, სადაც ჯერ კიდევ ბევრნი არიან ისეთები, რომლებიც საზოგადოებრივ შრომას გაურბიან. მოსაწონია, რომ ამ უკანასკნელ ხანს იმართება სახოფლო ღრმლებები დევიზით: „არცერთი მუქთახორა, შრომის თავისამრიდებელი — სოფლად!“ საჭიროა ამ სასოფლო ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულება ყველგან აყვანილ იქნას მკაცრ კონტროლზე, მიღწეულ იქნას. რომ დისციპლინის განმტკიცებისათვის მიმართულ ამ და სხვა ღონისძიებებს მეტი სასურველი ეფექტი მოჰყვეს.

ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე ერთ-ერთ დიდ და სერიოზულ დაბრკოლებაა ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი, ქაღალდმოხმარეობით გატაცება, სამწუხაროდ, კიდევ არის ფაქტები. როცა ჭეშმარიტი, ცოცხალი საქმე „იბრძობა“ საზეიმო დაბრებებისა და ქაღალდების კორიანტელში, როცა სული ეხუთება თაოსნობასა და ინიციატივას, როცა ერიდებიან ახალი საზრუნავით ფიქრებ და ინიციატივას, ბოლოს ბოლოს, ეს ბუნებრივია, ასეთ ადგილებში ადამიანებს ეზარებათ ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის,

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

მოძმე რესპუბლიკების მაღალი ზღუდეები

აზერბაიჯანის სსრ მშრომელთა 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი



აზერბაიჯანის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ვადამდე, 25 დეკემბრს შეასრულეს 1974 წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. ხუთწლედის ოთხ წელიწადში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა 38,7 პროცენტით ეგეგმით გათვალისწინებული 32,1 პროცენტის ნაცვლად. 4,5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. გაერთიანებებმა „აზნავთობმრეწველობა“ და „აპშერონნავთობმრეწველობა“ ეგეგმით ეგეგმა შეასრულეს ეგეგმა ეგეგმა ეგეგმა

მსოფლიო დღის

გამოცხადებულია

თვალსაჩინო პოლიტიკური მოვლენა

უცხოეთის პრესა საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკებების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ინგლისის უმაღლესი დონის მოლაპარაკება მოსკოვში მსოფლიო პრესის წამყვანი თემაა. გაზეთები ხაზს უსვამენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოლაპარაკებას, არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის, პირველად აგრეთვე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის. თავიანთი უკანასკნელი საღამოს გამოშვებებში გაზეთები იუწყებიან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ერთობლივ განცხადებას და მოსკოვის შეხვედრის ხუთ დასკვნის დოკუმენტებს.

ლონდონი. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოსკოვის მოლაპარაკება დიდი წარმატებით დამთავრდა. „პროგრესი მნიშვნელოვანი გამოდგა და ინგლისელთა ველა მოლოდინს გადააჭარბა", — ხაზს უსვამს გაზეთი „ტაიმსი". „ეგვე გაზეთი აღნიშნავს, რომ დასასრა ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შემდგომი ნაოფერი განვითარების ახალი ელშემწყობი შესაძლებლობანი. „ინგლისელ სტუმრებზე, — წერს „მორნინგ სტარი", — აშკარად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გულითადმა შეხვედრამ საბჭოთა კავშირში, აგრეთვე კონსტრუქციულმა. გულთბილმა ატმოსფერომ, რომელშიც მოლაპარაკება მიმდინარეობდა, გაზეთი წერს, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება ხელს შეუწყობს ინგლისში უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას.

სოფია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი", თავის სიტყვაში ფართო მასშტაბითა და პერსპექტივით დასახა საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. გაზეთი ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის „არგუმენტების დამაჯერებლობასა და უდავობას", ძლიერ შთაბეჭდილებას, რომელიც მისმა სიტყვამ მოახდინა საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე.

ბუდაპეშტი. საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის უმაღლესი დონის შეხვედრა მომდინარე წლის დამდეგიდან ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური მოვლენაა, წერს გაზეთი „ჰეტფეი მადიარ ჰირლაპი".

ბონი. „შტუტგარტერ ცაიტუნგი" წერს: „მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებში ორი ქვეყნის აზრთა პრინციპული სხვაობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირში პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონის ვიზიტმა დასაბამი მისცა საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის ახალ ეტაპს".

ჰელსინკი. „ჰელსინკინ სანომატი" წერს, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრისა და საბჭოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა.

კაირო. ეგვიპტის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად გამართულ საუზმეზე. „ლ. ი. ბრეჟნევმა დაადასტურა, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ერთგულია", — წერს „ინჯიშმენ გაზეტი".

ბეირუთი. ლიბანის გაზეთები კმაყოფილებას გამოთქვამენ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ საბჭოთა კავშირის პოზიციის გამო, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში.

(საკდესი).

ჯ. ფორდის ინტერვიუ

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ კონგრესი ერევა „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში, რაც, კერძოდ, იმით გამოიხატა, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ დისკრიმინაციული შესწორებები შეიტანა ამას წინათ მიღებულ ვაჭრობის კანონში. უპასუხა რა ჟურნალისტის კითხვაზე, ამერიკელებს ხომ არ გაუკვირდათ იმედი იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების 1972 წლის სავაჭრო შეთანხმება ძალაში არ შევიდაო, ჯ. ფორდმა თქვა: „შეერთებულ შტატებში ბევრია ხსენთი ადამიანი, რომლებსაც შეგნებული აქვთ და მომავალში კიდევ უფრო მკაფიოდ შეიგნებენ, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩვენს ქვეყანას შორის ეკონომიური შეთანხმების გაუქმება იმის შედეგია, რომ საექსპორტო-საიმპორტო ბანკის უფლებამოსილების გაგრძელების კანონპროექტთან და ვაჭრობის კანონპროექტთან დაკავშირებით კონგრესმა მიიღო მოუფიქრებელი გადწყვეტილებანი".

შეეხო რა კონგრესის გადაწყვეტილებას თურქეთისათვის სამხედრო დახმარების შეწყვეტის შესახებ, პრეზიდენტმა თქვა, რომ ამან „გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირის განდგომა" და რომ „პოტენციურად ამას შეიძლება მოჰყვეს ნატოს შესუსტება".

როცა განმარტა, თუ რატომ განიზრახა წინასწარ გამოაცხადოს თავისი კანდიდატურა—1976 წელს პრეზიდენტის არჩევნებში, ჯ. ფორდმა თქვა: მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ რესპუბლიკელებმაც და დემოკრატებმაც იცოდნენ ჩემი განზრახვა, რადგან ეს შემიმსუბუქებს ურთიერთობას კონგრესთან. აგრეთვე მიმაჩნია, რომ ეს გამიადვილებს ურთიერთობის დამყარებას უცხოეთის სახელმწიფოებთან როგორც ჩვენს მოწინააღმდეგეებთან, ისე ჩვენს მეგობრებთან, თუ მათ მემკვიდრეობითობის შეგრძნება ექნებათ.

ა. ა. გრომიკო სამშობლოში დაბრუნდა

ქენე

გამოჩენილი მათემატიკოსი

გ. ჭოლოშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო

□

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ გიორგი ჭოლოშვილს 60 წელი შეუსრულდა.

გ. ჭოლოშვილის შრომები ძირითადად მიეკუთვნება მათემატიკის ახალგაზრდა დარგს — ტოპოლოგიას. ტოპოლოგია, რომელმაც ა. პუანკარეს ფუძემდებელური შრომების შემდეგ დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოიპოვა, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად განვითარებადი დარგი მათემატიკისა და განუხრელად იზრდება მისი გავლენა მათემატიკის სხვა დარგებზე.

პირველ მნიშვნელოვან მიღწევად გ. ჭოლოშვილის შემოქმედებაში უნდა ჩაითვალოს 1939 წლისათვის შესრულებული შრომების ციკლი მორსის თეორიის საკითხებზე. აქ პირველად შემოღებული და შესწავლილია ეგრეთწოდებული „სფერული მოდიფიკაციის" ანუ „მორსის გარდაქმნის" ცნება, რომელიც ოცი წლის შემდეგ დიფერენციალური ტოპოლოგიის მთავარ ინსტრუმენტად იქცა და მისი როლი სულ უფრო იზრდება.

1940 წლიდან გ. ჭოლოშვილი ძირითადად სივრცეთა ჰომოლოგიის თეორიის საკითხებს იკვლევს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მიმართულებით მის შრომებს, რომლებიც ეძღვნება ორადობის საკითხებს. ალექსანდერის და პონტრიაგინის ორადობის თეორემა შორს წასული განზოგადებაა კლასიკური ორადობის თეორემისა. გ. ჭოლოშვილი პირველია, რომელიც ამ თეორემას განაზოგადებს არაკომპაქტური სივრცეებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად მან ორი ახალი ნაბიჯი გადადგა: გეომეტრიული.—განიხილა სიმრავლის ალროსმაციები მიგნიდან ჩაკეტილი სიმრავლეებით და გარდა ღია ქვესიმრავლეებით, და ალგებრული: — ააგო და მეისწავლა კომპაქტურ ჯგუფთა პირდაპირი სპექტრების თეორია. ამან საშუალება მისცა მას განეზოგადებინა ალექსანდერ-პონტრიაგინის და სტინროდის ორადობის კანონები ეკვლიდური სივრცეების ნებისმიერი ქვესიმრავლეებისათვის. გ. ჭოლოშვილის ამ შრომებით იყო განპირობებული მოსკოვის ტოპოლოგიური სკოლის შრომათა ციკლი, მიძღვნილი ორადობის საკითხებისადმი, აგრეთვე მისი მოწაფეების შრომები ამავე მიმართულებით. გ. ჭოლოშვილის შემოქმედებაში, შემდეგ აგრეთვე მის მოწაფეებთანაც, დიდი ადგილი უკავია სხვადასხვა ჰომოლოგიის ჯგუფების აგებას, შესწავლას და ურთერთკავშირების დადგენას. გ. ჭოლოშვილმა გამოიკვლია პ. ალექსანდროვის ჯგუფებისათვის ალექსანდერ-კოლმოგოროვის ორადობის კანონი. გარდა ამისა, მან ააგო ახალი ჯგუფები, რომელთა საშუალებით დაამყარა კავშირი კოლმოგოროვის ფუნქციონალურ ჯგუფებსა და ალექსანდროვ-ჩეხის ჯგუფებს შორის.

გ. ჭოლოშვილს მიღებული აქვს შედეგები ზოგად ტოპოლოგიაშიც. მან პირველმა განიხილა და შეისწავლა მეტრიკული განზომილება ეკლიდური სივრცეების ნებისმიერი ქვესიმრავლეებისათვის და მიიღო ამ განზომილების დახასიათება. უკანასკნელ წლებში გ. ჭოლოშვილი აგრძელებს ზოგადი სივრცეების ჰომოლოგიისა და ჰომოტოპიის თეორიების გამოკვლევას სპექტრთა თეორიის გამოყენებით. მათემატიკაში მიღებულმა შედეგებმა მას საყოველთაო აღიარება ძოუპოვა და სახელი გაუთქვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

გ. ჭოლოშვილი დაიბადა 1914 წელს სარეხერეში, ექიმის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქ. ქუთაისში, ხოლო საშუალო — ქ. თბილისში. უნივერსიტეტი და ასპირანტურა დაამთავრა ქ. მოსკოვში. 1940 წლიდან დღემდე იგი თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია. 30 წლის ასაკში უკვე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორია და იკავებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგის თანამდებობას, რომელსაც დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს. 1962 წლიდან იგი აგრეთვე ხელმძღვანელობს თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილებას. 1955 წელს მას ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მთავრობის სხვა ჯილდოებით. მრავალი წლის მეცნიერულ-პედაგოგიური ძუშაობის მანძილზე ძან მექნა აღიარებული სკოლა ტოპოლოგიისა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ტოპოლოგიის სხვადასხვა საკითხებზე.

დიდია გ. ჭოლოშვილის ღვაწლი თბილისის უნივერსიტეტში ალგებრული და გეომეტრიული დისციპლინების დანერგვისა და განვითარების საქმეში. მისი მრავალმხრივი აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა ყარძოადგენს უნივერსიტეტის მთელი ანი მათემატიკური სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არსებით ნაწილს და მან დიდად შეუწყო ხელი მისი დონის ამაღლებას იმ მიმართულებით, რომლებიც არ იყო ტრადიციული ქართული მათემატიკური სკოლისათვის.

გარდა ამისა, გ. ჭოლოშვილი ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას, როგორც უნივერსიტეტში, ისე აკადემიაში. ის არის საშუალო და უმაღლესი სკოლების მეთოდური კომისიების თავმჯდომარე, დიდი ღვაწლი შეაქვს ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის შედგენის საქმეში.

დ. გალაძე,
პროფესორი.
ნ. ბერიკაშვილი,
ხ. ინასარიძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები.

140 წლის ასაკში

ოჩამჩირე, 18 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში 140 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოს ერთ-ერთი უხუცესი მცხოვრები — აფხაზური ზღაპრებისა და ლეგენდების მთქმელი ხფაფ ჯანგატა ასული ლასურია. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე კოლმეურნეობაში მუშაობდა.

ამ დღეგრძელმა ქალმა დიდი შთამომავლობა დატოვა. მთის სოფელ კუტოლში ახლა მისი ასზე მეტი შვილიშვილი და ბაღიშის შვილი ცხოვრობს და შრომობს.

ხფაფ ლასურიასთან მისი დღეგრძელობის საიდუმლოს ამოსაცნობად ბევრჯერ ჩამოსულან სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერი გერონტოლოგები.

სწავლობენ კულტურის მუშაკები

თბილისი. (საპ. კორ.). გაიმართა რაიონის კულტსაგანმანათლებელო დაწესებულებების მუშაკთა ორდღიანი სემინარი, რომლის მონაწილეებმა მოიხმინეს ჩაბანოს სასოფლო კლუბის გამგის ა. უძილაურის საუბარი საკლუბო მუშაობაში მიღწეულ გამოცდილებაზე.

რაიონული ბიბლიოთეკის გამგეს რ. ბურდულმა, ამავე ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ლ. ნაკვეთაურმა და საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს პ. ბარანაულმა წაიკითხეს მოხსენებები თემებზე: „ბიბლიოთეკის მუშაობის დაგეგმვა, გეგმის შედგენის მეთოდიკა, მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშგება", „სამხედრო-პატრიოტული და სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდა", „დიდი სამამულო ომის ამსახველი ლიტერატურის პროპაგანდა ბავშვებში".

საუკეთესოთა შორის

ქართველ სტუდენტთა ნაშუშევრები

შეჯამდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, სრულიად საკავშირო ალკკ ისტორიისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის პრობლემებზე სტუდენტთა ნამუშევრების V სრულიად საკავშირო კონკურსი. კონკურსი, რომელიც ორ წელიწადს გრძელდებოდა, მიეძღვნა კომკავშირისათვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს.

კონკურსში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის თითქმის მილიონ-ნახევარი ქალიშვილი და ჭაბუკი. დღის განყოფილებების სტუდენტებთან ერთად კონკურსში ჩაებნენ დაუსწრებელი, საღამოს განყოფილებების სტუდენტები, უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების მსმენელები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე უცხოელი მოქალაქეები.

კონკურსზე წარმოდგენილ რეფერატთა დიდი უმრავლესობა დაკავშირებულია ლენინური თეორიული მემკვიდრეობის კვლევასთან, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის განზოგადებასთან.

პირველი ხარისხის დიპლომი და ბულგარეთის ტურისტული საგზურიც გადაეცა თბილისის 26 კომისრის სახელობის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტს ვ. ფროლოვს რეფერატისათვის „მაოიზმის პოლიტიკისა და იდეოლოგიის ანტისაბჭოური არსი".

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს ლ. პარკინსშვილს მიენიჭა მეორე ხარისხის დიპლომი ნამუშევრისათვის, რომელშიც გამუქებულია თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ასეთივე ჯილდო გადაეცა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს მ. ბუთხუზს მოხსენებისათვის „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ბურჟუაზიული კონცეფციის კრიტიკა".

მაღალი შეფასება დაიმსახურეს რეფერატებმა, რომლებიც წარმოადგინეს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ვასილიევმა — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო სჯმიანობა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში", საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა მ. წიკლაურმა — „ქართველი ქალიშვილები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში "პარტიზანული ომისა და ევროპის ქვეყნების "წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი", თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ო. როპემ — „სტუდენტობა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში". ისინი დაჯილდოვდნენ მესამე ხარისხის დიპლომებით.

საპატიო სიგელებით აღინიშნა ნაშუშევრები, რომლებიც წარმოადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დ. გამსახურდიამ და მ. ნარსიამ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა ი. პანკევიჩმა და ი. ავაკიანმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა თ. ქარჩავამ და ლ. ბაზერაშვილმა, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ბუბალიანმა, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ს. ფხაკაძემ, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა თ. მეხხიშვილმა, თბილისის 26 კომისრის სახელობის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტმა ა. პეტრენკომ. (საქინფორმი).

გზა მთაში

ბორჯომი. (საპ. კორ.). რაიონში ბოშური ერთ-ერთი მთიანი სოფელია. ზამთარში უგზოობის გამო რაიონული ცენტრისკენ ბოშურიდან და მთის სხვა სოფლებიდან მიმოსვლა თითქმის წყდებოდა.

უგზოობას მთის მოსახლეობა მალე თავს დაიღწევს. გორი-ბოშურის მიმართულებით ახლა წარმატებით მიმდინარეობს საავტომობილო გზის მშენებლობა.

პატარების სიხარული

ჩოხატაურის რაიონში ათამდე მუდმივმოქმედი ბაგა-ბაღია, სადაც ასობით ბავშვი იზრდება. პატარებმა ახლახან კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიიღეს — დაბამი ახალ ორსართულიან შენობაში გაიხსნა ბავშვთა ბაგა 80 ბავშვისათვის.

გ. ვაჩეიშვილი.

თემატური საღამო

თელავი. (საკ. კორ.). იყალთოს სასოფლო კლუბში მოეწყო თემატური საღამო „საამშობლო და გამარჯვება", რომელიც მიეძღვნა დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების 30-ე წლისთავს.

მოხსენებებით — „იყალთოელები დიდ სამამულო ომში", „ბრძოლები კავკასიაში", „საქართველოს ქალები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე" — გამოვიდნენ ს. ჩხუბინაშვილი, ს. ყურშიტაშვილი და ნ. ბეიძეიშვილი.

საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანი გ. ბაჩიაშვილი და საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი ნ. წინამძღვრიშვილი.

ისინი აქ ილრმავებენ ცოდნას

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური პიონერმოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის დანერგვის მძლავრი კერაა. აქ ჩამოყალიბებულია 100-მდე ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ექსპერიმენტული წრე, რომლებშიც დედაქალაქის სკოლების 1500-მდე მოსწავლეა გაერთიანებული.

წრეებში გაერთიანებული მოსწავლე ახალგაზრდები იღრმავებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას და პრაქტიკულად ამზადებენ სხვადასხვა თვითნაკეთობას, მოქმედ მოდელებსა და მაკეტებს. მათ მიერ დამზადებულმა ელექტროგიტარებმა, ავტომატურმა ხელსაწყოებმა გამაძლიერებლებმა, მცირეგაბარიტიანმა ავტომანქანებმა თუ მოტოციკლებმა სადგურს შორს გაუთქვა სახელი, მას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ბრონზის მიუღია ჯილდო. 400-მდე ნორჩ ტექნიკოსს მიღებული აქვს ამ გამოფენის „ნორჩი მონაწილის" მედლები და ფასიანი საჩუქრები.

ნორჩ ტექნიკოსთა სადგური მარტო საკავშირო გამოფენებს კი არ აწყობს, არამედ ფოტოკონკურსებს, ფიზიკოსთა ოლიმპიადას, ექსკურსიებს დიდი სამრეწველო ქარხნებისა და ფაბრიკების დასათვალიერებლად, ხელმძღვანელობს რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებს. კინოსალექციო დარბაზში სისტემატურად იმართება შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან, მეცნიერ მუშაკებთან, გამოჩენილ სპეციალისტებთან.

სურათებზე: ზემოთ — თბილისის 75-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ჯ. ცერცვაძე რადიოტექნიკურ ლაბორატორიაში აკეთებს დაბალი სიხშირის გამაძლიერებელს; ქვემოთ — თბილისის მე-2 გახანგრძლივებული სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ი. კოხრეიძე. თბილისის 132-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ბ. წოკლაური და თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე თ. ლომთათიძე ახალი ავიამოდელების გამოცდის დროს.

ბ. ბოგოსიანის ტექსტი და ფოტო.

ტყიბულელთა მამაცობა

ბრძოლა სტიქიასთან

ტყიბულეთა ქალაქში — ტყიბულში და მისი ზონის ყველა სოფელში 4 თებერვლიდან ცრა დღეღამის განმავლობაში თითქმის გახუწყვეტლივ თოვდა. თოვლის სიმაღლემ ეოთ მეტრსა და 62 სანტიმეტრს მიაღწია. ასეთი დიდი თოვლი აქ არ ყოფილა უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.

სტიქიამ შეაფერხა ქალაქისა და სოფლების ნორმალური ცხოვრება. საავტომობილო მიმოსვლა შეწყდა ქუთაისის, ზესტაფონისა და ამბროლაურის მიმართულებით, შეწყდა ქალაქის ავტოტრანსპორტის მოძრაობაც. სკოლებში შეფერდა მეცადინეობა. თოვლმა წააქცია ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც უსინათლოდ დარჩნენ მაღალმთიანი სოფლები გურნა, სოჩხეთი, ძმუისი, კისორეთი, ციხია, ჯვარისა, ოჯოლა და მანდიკორი. ყველაზე შორეულ სოფელ ძმუისთან შეწყდა სატელეფონო კავშირი. თოვლმა დაფარა რკინიგზის სატვირთო სადგურის ლიანდაგები...

სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოებიც. შეიქმნა კომისია, რომელმაც თავიდანვე გეგმაზომიერად, ორგანიზებულად წარმართა ყველა სამუშაო.

საწამობ-დაწყებულებათა მუშამოსამსახურეები, მთელი მოსახლეობა გამოვიდა საცხოვრებელი სახლების, ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების გადმოსათოვლად. ადამიანები ღამითაც კი არ ეპუებოდნენ უამინდობას. ამასთან ერთად მიმდინარეობდა ქალაქის საავტომობილო მაგისტრალის თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოები. თუმცა ამინდი ძალიან ცუდი იყო, არც დღე და არც ღამე ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა ბულდოზერების გუგუნი. ბევრი მექანიზატორი ორი ცვლის განმავლობაში გრეიდერის, ტრაქტორისა და ბულდოზერის კაბინას არ მოშორებია. ისინი უარს ამბობდნენ დასვენებაზე და მამაცურად ებრძოდნენ სტიქიას. ესენი იყვნენ მებულდოზერეები ბ. დოლაბერიძე, გ. გალდავა, მ. აირაპეტიანი, გ. კვანტრიშვილი, ტ. ელისეევი, მუგრიდელე ვ. ლაფერაძე და სხვები. სწორედ ამათ, დაუღალავ მარჯვენას უნდა ვუმადლოდეთ, რომ თოვლის დაღების პირველი დღიდანვე თუ არას ვიტყვით ძალიან უმნიშვნელო შეფერხებებზე, ქალაქში პურითა და ხურსათით მომარაგება არ შეწყვეტილა, ქალაქის საწოგადოებრივი კვების ქსელი ნორმალურად მუშაობდა. მოსახლეობას არ უგრძნია აგრეთვე წყლის ნაკლებობა. კარგად იმუშავა ქალაქის ცენტრალური გათბობის სამსახურმა — საცხოვრებელი ბინები, საწარმო-დაწესებულებები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ყოველთვის ნორმალურად თბებოდა.

თოვლის დადების მეშვიდე დღეს უკვე ამუშავდა ავტოტრანსპორტი, აღდგა რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა ტყიბულ-ქუთაისის გზატკეცილზე. რკინიგზის სატვირთო სადგურიდან მალე ქვანახშირის გაგზავნა ნორმალურად წარიმართა. რკინიგზელებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა სტიქიით გამოწვეული ტვირთბრუნვის დანაკლისი დაეფარათ და შახტების ტერიტორიაზე დაგროვილი სათბობი გადაეზიდათ. ამ მხრივ ბოლო დღეებში თითქმის ყველაფერი მოწესრიგდა.

მაგრამ 15 თებერვალს შუაღამისას ბუნება კვლავ განრისხდა. ამჯერად რკინიგზის ხრეხილ-საწირის გადასარბენზე დაიძრა მეწყერი, რომელმაც მწყობრიდან გამოიყვანა ლიანდაგი. გზელები შემოხვევის ადგილს არ ტოვებენ და ტექნიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ.

აი ჩვენი ადამიანების გმირობის კიდევ ერთი ძაგალითი.

მეშახტეთა პროფილაქტორუმის — „სცოლაჯვარის" ოთხსართულიან შენობაში, რომელიც ნაქერალის ქედზე, ზღვის დონიდან 1470 მეტრის სიმაღლეზე ძდებარეობს, სამი მეტრი სიმაღლის თოვლის სამეფოში, გარემოსგან მოწყვეტილნი, 11 დღეღამის განმავლობაში სასახურებრივ ვაგზეზე იდგნენ კავშირგაბმულობის მუშაკები უფროსი მექანიკოსები ვ. ბუცხრიკიძე და ზ. ბარბაქაძე. დიდმა თოვლმა დააზიანა ელექტროგაყვანილობა, ჩაქრა ელექტროძუები, თითქის გათავდა სურსათ-სანოვაგე. ერთი სიტყვით, ადამიანებს საფრთხე დაემუქრა. მათს დასახმარებლად ქუთაისიდან გაფრინდა ვერტმფრენი, რომელმაც წაიღო სურსათი, მედიკამენტები, და საწვავი, მაგრამ ცდა უმედეგო გამოდგა. ეკიპაჟმა დაჯდომა ვერ შეძლო, ხოლო ბაერიდან ჩამოგდებული ტვირთი ხევში აღმოჩნდა.

სხვა გზა არ იყო, დაკომპლექტდა მოთამაშელელთა 8 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელმაც გეზი ნაქერალას ქედისაკენ აიღო. მთამაძალელთა მიზანი იყო მიშველებოდნენ გასხაცდელმი მყოფ მექანიკოსებს, რომლებსაც ქედის ციცაბო, თოვლიან კალთაზე დაიწყეს დაშვება. მამაცი ადამიანები დიდასს ვაკაცურად ებრძოდნენ სტიქიას და გაიმარჯვეს კიდეც. მთამაძალელები ქედის ძირში შეხვდნენ და საამბოდ ბოლოს გამოიყვანეს არაკეთგამოცლილი ადამიანები, ანა ასე იხსნეს ორი ადამიანის სიცოცხლე.

ერთი სიტყვით, ტყიბულელებმა ნამდვილად იმამაცეს!

ვ. ციბრეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

ყაიმი

გუშინ მოსკოვში გათამამდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენტების ნ. ალექსანდრიას და ი. ლევიტინას მატჩის მეათე პარტია. თეთრებით თამაშობდა ი. ლევიტინა. მეტოქენი 47-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ე. ვლადიმიროვი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

ლვოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში ახალგაზრდა ოსტატთა შორის. დებულების თანახმად, სამი გამარჯვებული სტუდენტთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშის უფლებას იღებდა, ჩემპიონი კი — აგვისტოში მსოფლიოს პირველობის ზონალური ტურნირის საგზურსაც.

ეს დაძაბული ტურნირი ყველაზე უკეთ წარმართა ალმაათელმა ოსტატმა ე. ვლადიმიროვმა. იანვარში იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის, ახლა კი ლვოვში 15 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა და კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა. მართლაც რომ გასაოცარი წარმატებას! ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვლადიმიროვი პირველად მონაწილეობდა ახალგაზრდა ოსტატთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. იგი ზაფხულში ითამაშებს ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატში.

გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა ოსტატი ს. პალატნიკი (ოდესა), 9,5 ქულით მესამე ადგილზე 20 წლის ოსტატი ა. მიხაილიშინი (ლვოვი).

8,5 ქულით მეოთხე-მეექვსე ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ე. უბილავამ (თბილისი), ა. კოჩიევმა (ლენინგრადი) და კ. ლერნერმა (ოდესა).

კალათბურთის ფარეგთან

გუშინწინ და გუშინ კაუნასის „ჟალგირისმა" მიიღო სვერდლოვსკის „ურალმაშინ". პირველი ტატის ანგარიშია 99:63 (49:27) ლატვიელი კალათბურთელების სასოგადოებრივ, თან აღსანიშნავია, რომ გუნდში ისევ თამაშობს ვეტერანი მოდესტას პაულაუსკასი.

გუშინ „ჟალგირისმა" კვლავ მოიგო — 101:74.

21 თებერვალს კი „ჟალგირისი" თბილისის დინამოს უმასპინძლებს.

ეს, როგორია ლიდერთა ძდგომარეობა დღეისათვის: „სპარტაკი" — 23 ქულა (26 თამამობდან), ცსკა — 20 (26), თბილისის „დინამო" — 18 (22), მოსკოვის „დინამო" — 17 (24). თბილისელთა მაგალითი მეტოქეს — „ჟალგირისს" 13 ქულა აქვს 28 თამამობიდან.

ფეხბურთი

კალენდარი ცნობილია

მოახლოვდა წლევანდელი დიდი საფეხბურთო სეზონი. 5 მარტს მწვანე მინდორზე გამოვლენ ერევნის „არარატი" და კიევის „დინამო", რომლებიც თავიანთ მეტოქეებს შეხვდებიან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასების გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩებში (განმეორებითი შეხვედრები 19 მარტს გაიმართება). 23 მარტს, კვირას სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალებია, 6 აპრილს კი — მერვედფინალები (შეგახსენებთ, რომ ულეულს გუნდები მხოლოდ თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს). 2 აპრილს ევროპის ჩემპიონატის მორიგ მატჩს გამართავს სსრ კავშირის ნაკრები, მისი სტუმარი იქნება თურქეთის გუნდი.

და აი 12 აპრილს, შაბათს „ა" კლასის უმაღლესი ლიგის გუნდები სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ კალენდარულ მატჩებში შეხვდებიან ერთმანეთს. თბილისს „დინამო" ამ დღეს უმასპინძლებს გათამაშების დებიუტანტს მოსკოვის „ლოკომოტივს".

სიბრძნენი ყოველნი ეკრძალენ



ვარსკვლავთა კატასტროფის კვალი

ჩვენს გალაქტიკაში ზეახალი ვარსკვლავების აფეთქებანი შესამჩნევ გავლენას უნდა ახდენდნენ დედამიწის ბიოსფეროზე, და ამ მოვლენის კვალი უნდა აღიბეჭდებოდეს ხეების წლიურ რგოლებში — ასეთი ვარაუდიდან გამოდიოდა საბჭოთა მკვლევარი ნ. ვ. ლოგვინოვი, რომელიც შეუდგა ჩვენი ქვეყნის ყველაზე ხანგამძლე მცენარეთა: ამურის ლარიქსისა და ნისებრი ღვიის გადანაჭრილების შესწავლას. შესწავლილ ხეთაგან ყველაზე ხნიერი იყო 807 წლის ღვია, რომელიც ე. ვ. მაქსიმოვმა იპოვნა შუა აზიის მთებში ზღვის დონიდან 3500 მეტრ სიმაღლეზე. თავისი პირველი ყლორტი მას ამოუყრია 1163 წელს, მაშასადამე, მისი სიცოცხლის მანძილზე მოხდა ზეახალ ვარსკვლავთა აფეთქება სულ ცოტა სამჯერ: 1572, 1604 და დაახლოებით 1700 წლებში.

ხნიერი ღვიის წლიური რგოლების შესწავლამ ცხადყო, რომ ზეახალი ვარსკვლავების აფეთქებანი შემდეგ მკვეთრად ფეხმდებოდა ხის ზრდა, იგი მაქსიმუმს აღწევდა მე-15-16 წლებს და მხოლოდ 30 წლის შემდეგ ხდებოდა ზრდის წინანდელი ტემპის აღდგენა.

რა ფიზიოლოგიური პროცესები ირღვევა აფეთქებათა ზემოქმედებით, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

აფეთქებანი... თირკმელებში

ერთ-ერთი ბოლომდე გადაუწყვეტელი სამედიცინო პრობლემაა თირკმლის ქვების შოშორება ქირურგიული ჩარევის გვერდის ავლით. ახლა მუშავდება მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ქვები იფხვნება ელექტრული კონდენსატორის გამუხტვისას გენერირებული დაკვრითი ტალღის საშუალებით. ავადმყოფი და კბილუხტვის მოწყობილობა წყლით გავსებულ ტივადობაში რომ მოვთავსოთ და ამასთან განმუხტვის მოწყობილობა მოვთავსოთ ამრეკლის ერთ ფოკუსში, ავადმყოფი კი ისე, რომ თირკმლის ქვა მეორე ფოკუსში აღმოჩნდეს, მაშინ დაკვრითმა ტალღამ დაუბრკოლებლად უნდა შეაღწიოს რბილი ქსოვილების გავლით, მაგრამ ქვაზე რომ მოახდენს კონცენტრირებას, უნდა დაფხვნას იგი, ნაფხვენები კი თვითონ უმტკივნეულოდ დატოვებენ ორგანიზმს.

კაბელი ინგლისი-კანადა

შარშან ზაფხულში ატლანტიკაზე გაიყვანეს ახალი კაბელი, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა ინგლისი და კანადა. ამ კაბელზე ერთდროულად შეიძლება განხორციელდეს თითქმის ორი ათასი სატელეფონო საუბარი. კაბელთან ერთად წყალქვეშ ჩაშვებულია 2800 ტრანზისტორი (თითეული შედგება 473 სახეზო გამაძლიერებელი) და 31 შემათანაბრებელი მოწყობილობა. ამ კაბელის შესაქმნელად დახარჯეს 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი, მასალებიდან კი კაბელში ყველაზე მეტი პოლიეთილენი, თუ ვიანგარიშებთ მოცულობით. არა ჯერთან? ოფიციალური ცნობებით იგი დახარჯეს 6000 ტონა, ხოლო სპილენძი და ალუმინი ერთად აღებული — 1500 ტონა. მხოლოდ ფოლადი, წონით თუ ვიანგარიშებთ, დახარჯეს მეტი — 7000 ტონა, მაგრამ განსხვავება ფოლადისა და პოლეთილენის ხვედრითს წონაში გაცილებით მეტია 7/6. გასაკვირველი როდია, რომ ძირითადად პოლეთილენის კაბელი საკმაოდ მსუბუქი აღმოჩნდა: მისი კილომეტრი სულ 2,7 ტონას იწონის. ამ კაბელის საერთო სიგრძემ კი 5200 კილომეტრი შეადგინა. საერთო წონა თვითონ გამოიანგარიშეთ.

ლურსმანი — სხვალი

ალბათ სწორედ ასე დაარქმევენ შვეიცარიაში გამოგონებულ ლურსმანს. ეს ერთსა და იმავე დროს ლურსმანიც არის და სხვალიც (შურუპი). თავი ისეთივე აქვს, როგორც ჩვეულებრივ სხვალს, მოპირდაპირე მხარე კი მახვილი, როგორც ლურსმანს. ხოლო ღერო ერთიც არის და მეორეც: ერთი მხარე გლუვია, როგორც ლურსმანისა, მეორე — კუთხვილი, როგორც სხვალისა, ლურსმანი-სხვალი საკმაოდ ადვილად ესობა ხეში ჩაქუჩით და ამასთან არ იგლეჯება მერქნის ბოჭკოება, შემდეგ კი ნახევარზე შებრუნებით ის სხვალივით საამოდ ეოდ მაგრდება. ლურსმანი-სხვალები შეიძლება ჩავასოთ პლასტმასებშიც, თაბაშირის პანელებშიც და მსუბუქ ბეტონშიც, თუ ის ძალიან მაგარი არ არის.

სტატისტიკა და თამბაქოს წევა

ინგლისელი მეცნიერის ჯ. ლოუტონის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ თამბაქოს წევა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ათეროსკლეროზის პროცესის განვითარებას. ავადმყოფებს აღმოუჩინეს სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი მათ მიერ დღეში მოწეული სიგარეტების რიცხვსა და მსხვილი არტერიების ათეროსკლეროზული დაავადების ხარისხს შორის.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

თბილისის № 38 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მანქანადანადგარების შემკეთებლის სპეციალობაზე

სასწავლებელში ჩაირიცხებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზირებული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

მოსწავლეები სწავლების პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას 60-65 მანეთის რაოდენობით და საწარმოო პრაქტიკის პროცესში მათ მიერ გამომუშავების ფულად ანაზღაურებას. რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სამუშაო ადგილებით მიღებული სპეციალობის მიხედვით. **ხელფასის ანაზღაურება ს